572
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1977 თებერვალი N2

ჭიკარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ჩვენი საქართველო!

ვასილ გვეტაძე

ქარაფს მოწყდა ჩანჩქერი და
ვინღა დაეწევა..
,,იავ-ნანის" ღუღუნია
და აკვნების რწევა.
გაზაფხულზე მსუქე მიწას
ტრაქტორები ხნავენ...
აი, ჩვენი საქართველო!
აი, ჩვენი მხარე!
ზევით თეთრი კლდეებია
და არაგვი ხივის.
ქვევით ზღვაა უნაპირო
და ბადები ხილის.
ფორთოხლებში გაიარე,
გული გაიხარე...
აი, ჩვენი საქართველო—
მშობლიური მხარე!
ეურძნის სიტკბო ვენახებში
იღვენთება თაფლად.
ჩაის მწვანე ბუჩქებია
ამ გორების დაბლა.

გავიხსენოთ საჯიხვენი
და ტეეებიც ბარემ...
აი, ჩვენი საქართველო—
ჩვენი დედა მხარე!
ცეცხლს აფრქვევენ ღუმელები
და ქარხნები ბოლავს.
გვაქვს ტეიბულში ქვანახშირი,
სჯდეს რუსთავი ფოლადს.
მიწას ერთი შეხედვითაც
ნახატს შეადარებ...
აი, ჩვენი საქართველო—
საოცნებო მხარე!
ოფლსა ღვრის და გასაჭირში
ქედს არასდროს არ ხრის,
გონიერი, ღონიერი
და ამაყი ხალხი.
უთენია ადგებიან,
ბარავენ და სხლავენ...
აი, ჩვენი საქართველო—
ქართველების მხარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მინდა

თინათინ ჟვირიკაძე

ჩვენს საქართველოს წარსულში
მრავალი გმირი ჰყოლია,
რომლებიც დიად მამულის
სიყვარულს გადაჰყოლიან.

ძალიან მინდა მეც ვგავდე
გმირ—სახელოვან წინაპრებს;
ჩემს ლამაზ საქართველოში
სწავლით და შრომით ვბრწყინავდე.

ნახატები ზაურ დეისაძისა

საქართველო მომიქარგე

ავთანდილ გურგენიძე

მზეო,
მზეო, თვალხატულავ,
იხარე და
იბრიალე,
სარკესავით ნათელ ცაზე
დროშასავით იფრიალე.

დამიშაქრე ოჯალეში,
დამიშაქრე
ციცქა,
თითა...
საქართველო მომიქარგე
სითბოთი და სინათლითა!

ა. ბარქსის სახ. ... ბიბლიოთეკა

7 3 4 2 1

მეთაური

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის ცივი, მოღრუბლული დღე იდგა.

ცხენოსანი დივიზია სოფელში სიმღერით შემოდიოდა. წითელარმიელები გაოფლილ, ძუაგამონასკვულ ცხენებზე ისხდნენ. მოდიოდნენ ამაყად და რაღაც ვაჟკაცურს მღეროდნენ.

წითელ ლაშქარს მთელი სოფელი ეგებებოდა. მოზღვავებულ ხალხს წნელითა და ძეძვით გაკეთებული ღობეები ვეღარ იმაგრებდა, სულ ლიწინ-ლიწინი გაუდიოდა.

გოგო-ბიჭები ხის ტოტებს ბეღურებივით შესეოდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ მებრძოლებს.

ელგუჯას ხეზე აძრომა ვერ მოესწრო. გზისპირ, ქვის ყორეზე შემხტარიყო და თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა ცხენოსნებს.

ყველა თითქმის ერთნაირ ფორმაში გამოწყობილიყო, ეცვათ გრძელკალთებიანი მაზარები და დეზებიანი ჩექმები, თავზე წითელვარსკვლავიანი, ძაბრივით წოპწოპა ქუდები ეხურათ, მკერდზე ჯვარედინად გადაჭერილი ფალასკებიდან თითბრის ვაზნები ბრწყინავდნენ, ხოლო თოფის ლულები ჭიგოებივით ცისკენ შეემართათ. არა, ცხენებიც რომ ერთნაირი—მოწითალო ფერისანი ჰყავდათ, მარტო ორ მხედარს ჰყავდა თეთრი ცხენი, იმათი ფორმაც გამოირჩეოდა სხვებისაგან, ეცვათ წაბლისფერი ტყავის პალტოები და ხისბუდიანი, გრძელი მაუზერები ეკიდათ. ხმლები ხომ ჰქონდათ და ჰქონდათ. მარტო ქუდები ეხურათ მოლაშქრეთა მსგავსი.

— მეთაურები იქნებიანო,—დაასკვნა ელგუჯამ და კარგად რომ დაუკვირდა, უცებ ისე შეკრთა, კინაღამ ყორიდან გადმოვარდა: ერთ-ერთ მათგანს გრძელი ულვაშები ჰქონდა. ბიჭი თვალებს არ უჯერებდა, ნამძინარევივით იფშვნეტდა, სიზმარში ხომ არა ვარო, მაგრამ არა, რის სიზმარი, რა სიზმარი, ელგუჯა ცხადში ხედავდა ბუდიონს. „ბანა" მაინც არ სწერდა, წითელი ჯარის მეთაურს,—ბუდიონს გრძელი ულვაშები აქვსო.

მეწინავე მებრძოლები ელგუჯას რომ გაუსწორდნენ, მეთაურებმა ცხენები პირდაპირ ბიჭისკენ შემოაბრუნეს.

ულვაშიანმა ცხენი ყორესთან მიაგდო და ელგუჯას მიესალმა:

— გამარჯობა!

— ბიჭოს!—ბუდიონს თუ ქართული ლაპარაკი ეცოდინებოდა, რას წარმოიდგენდა ელგუჯა. მამას ამის შესახებ არაფერი მოუწერია, იმას კი იტყობინებოდა, დენიკინს ბუდიონის ისე ეშინია, როგორც კურდღელს არწივისაო.

იქნებ მამას გამორჩა და ვერ მოიწერა, რომ ბუდიონმა ქართული იცოდა?

ბიჭმა ულვაშიანი მეთაური შუბლქვეშიდან შეათვალიერა და, მთლად დაავიწყდა, სალამზე სალმით რომ უნდა ეპასუხა.

— შენს გაზრდას, წყალი დაგვალევინე,—თქვა ცხენოსანმა.

ამაზე დიდი ბედნიერება რალა იქნება, ბუდიონი ელგუჯას სთხოვს წყალი დამალევინეო. რა შურით დაიხოცებიან ბიჭები, ამას რომ გაიგებენ? იქნებ შორიდან უთვალთვალებენ კიდეც და სულ კბილებს იმტვრევენ, ჰა?—ბიჭი გულში ზეიმობდა, მერე ალარ ახსოვდა, როგორ ისკუპა ყორიდან ეზოში, როგორ შეირბინა შინ და რანაირად გამოიტანა ხელადა.

ელგუჯა ყორეზე ციყვივით შეხტა.

მეთაურმა ხელადა ჩამოართვა და მოსვა, მაგრამ მაშინვე ძირს დაუშვა.

ტუჩებზე ხელი მოისვა და ბიჭს ცერად გადმოხედა.

ცხენოსანმა წყალი რომ არ დალია, ძალიან შეწუხდა ელგუჯა, ალბათ თბილი თუ იყოო,—გაიფიქრა და ლამის ატირდა.

— ეს რა არის?—იკითხა მეთაურმა და თვალით ხელადაზე ანიშნა.

— წყალი, ამხანაგო ბუდიონო!—ძლივს წაილულლულა ელგუჯამ და დარცხვენილმა თავი დახარა,—დედას გეფიცები, ახალია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი **ზურაბ კაპანაძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინაო?—იკითხა მეორე მეთაურმა, რომელიც ცოტა განზე იდგა, მერე ისე გაიცინა, ცხენებმა ყურები ცქვიტეს, დაიჭიხვინეს და აქეთ-იქით გახტნენ.

— წყალი კი არა, ღვინოა!—გაიღიმა ულვაშიანმა მეთაურმა.

— ღვინოო,—ახლა ამაზე ახარხარდა მეორე. მერე რას ხარხარებდა; ცხენოსანთა ლაშქრიდან ლამის ასმა კაცმა მაინც მოიხედა მათკენ.

მიწა რომ გამსკდარიყო და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩია ელგუჯას, წყლის ხელადა როგორ შეეცვალა ღვინისაში? ვაი სირცხვილო!

ელგუჯა ყორიდან ჩამოსახტომად მოემზადა, მაგრამ ულვაშიანმა მეთაურმა შეაჩერა:

— მოიცა, რა გქვია?

— ელგუჯა!

მაშინ მეთაურმა ხელადა მაღლა ასწია და თქვა:

— შენ გაგიმარჯოს კარგო ბიჭო, ამ სოფელს გაუმარჯოს, თავისუფალ რევოლუციურ საქართველოს გაუმარჯოს!

ცხენოსანმა ხელადა პირზე მიიყუდა.

მეორე მეთაურმაც დალოცა ელგუჯა, ხელადა დაუბრუნეს, მხედრული სალამი მისცეს და ცხენები მიატრიალეს.

როცა დივიზიამ ჩაიარა, ლამის მთელი სოფელი დაედო ელგუჯას. ბიჭს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა. სანამ ვინმე რამეს ჰკითხავდა, თვითონ დაიწყო:

— იცით, თვითონ ბუდიონი მელაპარაკა, განა!

— ბუდიონიო?—ჰკითხა რამდენიმემ და გაიცინეს.

— რა გაცინებთ, აბა, ვინ იყო ის ულვაშიანი!—გაბრაზდა ელგუჯა.

როცა უთხრეს, რომ ბუდიონი კი არა, სერგო ორჯონიკიძე იყოო, კეთილად გაიღიმა და თქვა:

— კაცო, აკი მეც იმიტომ გამიკვირდა, ჩვენებურად რომ მლოცავდა და მადლეგრძელებდაო.

მელაკუდას ფიცი

ივანე ქართველიშვილი

ესო, მესო,
ვაი ჩემს შავ დღესო,
მე სოროში ვიწექი და
შემომიბოღესო.
მერე ესეც არ მაკმარეს,
კავი გამომდესო
და სოროდან ძაღისძაღად
გამომათრიესო.
მირტყეს თავში,
მირტყეს წელში,
ტყავი გამაძრესო.
თან მწევრები მომისიეს,
კუდიც მომგლეჯესო.
მერე, როცა მკვდრად ჩამთვალეს,
ხევში ჩამაგდესო...
ესო, მესო, რა დღე მაწიესო.
თუ გადავრჩი,
აღარც ქათამს,
აღარც იმის ძესო—
ახლოს არ გავეკარები,
ვფიცავ დედის მზესო.

ნახატი **გრიგოლ გაფრინდაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი **სოფიო კინწურაშვილისა**

ბესიკი

ქეთევან ხაჩიაშვილი

— ქეთინო!.. ქეთინოო!—გაისმა ძახილი. დედამ პასუხი რომ ვერ მიიღო; აივნიდან ეზო დაკვირვებით მოათვალიერა, საბძელთან ქეთინო და ერთი—ეზით გარეულული, შავტუსა, ჩაფსკვნილ-ჩაკირკიტებული ბიჭი იდგა. ბიჭს ხელში უზარმაზარი კარაქწასმული პურის ნაჭერი ჩაებღუჯა და გემრიელად შეექცეოდა. ისე მადიანად ილუკმებოდა, გოგონას პირში ნერწყვი მოსდიოდა და სურვილით სავსე თვალებით შეჰყურებდა.

ბიჭმა საბოლოდ ლუკმა რომ გადასანსლა, ქეთინოს საქმიანი კილოთი ჰკითხა:

— შენ არა გშია? — გოგონამ უარის თქმა ვერ მოახერხა. ბიჭმა პური მოუტეხა და გოგონამაც ტუჩების წკლაპუნით ორიოდე ლუკმა თვალისდახამებაში გადასანსლა. მერე ის უზარმაზარი კარაქწასმული პურის ნაჭერი სულაც შუაზე გაიყვეს და ისე გემრიელად, ისეთი სიამოვნებით ჭამდნენ, დედა გაოცებული გადმოჰყურებდა ბავშვებს, არ ჩარეულა მათ კეთილ სტუმარმასპინძლობაში. რამდენი ხვეწნა-მუდარა სჭირდებოდა გოგონას, საჭმელი ეჭამა. სულ მესამე დღეა, რაც ქეთინო დედამ სოფელში ჩამოიყვანა. ეს სამი დღე სულ მოწყენილი იყო და ყველაფერზე ჟინიანობდა.

როცა ჭამა დაამთავრეს, ბიჭმა შესთავაზა:

— ქეთინო, მოდი, ახლა აქ დავსხდეთ,—

დიდი ვაშლის ძირში ორ მორგვზე ფიცარი იყო გადებული სალხის ჩამოსასხდომად.

— შენ რა იცი ჩემი სახელი? — გაოცდა გოგონა.

— დედაშენი ეოველწუთს არ გეძახის: ქეთინო, მოდი ხელ-პირი დაიბანე, მოდი, საჭმელი ჭამეო, გავიგონე.

გოგონამ გაიღიმა.

— შენი დედიკოც ხომ გეძახის ხოლმე: ბესიკო, შორს არსად წახვიდე, გზაზე არ გაბედო გასვლა, მანქანები დადიანო.

— ჰო, — ჩაიცინა ბიჭმა. ჯიბიდან მუჭით ათასფერად შეღებილი კოჭები ამოაწყო და აჰყარა. ერთი კოჭი სკამიდან ძირს ჩავარდა და ალჩუზე დაჯდა. კოჭი გოგონამ აიღო და თქვა:

— ეს ყველაზე დიდია.

— ეგ ჯილა კოჭია! — განუმარტა ბიჭმა.

დედა კი უყურებდა მათ თამაშს, უსმენდა მათ ლაპარაკს და უსაროდა. მერე თეფში ვაშლით, მსხლითა თუ თხილით აავსო და პატარებისკენ გასწია. კოჭებით ბავშვებმა ფეხის ხმაზე აიხედეს. გოგონას თვალები აუციმციმდა.

— დედა, აი, ბესიკი!

— გამარჯობა ბესიკ, კეთილო მეზობელო! — გულთბილად მიესალმა გოგონას დედა.

ბიჭი მაშინვე წამოდგა.

— გამარჯობა! — თქვა ბესიკმა და გაწითლდა.

— დაჯექი, ბესიკო, დაჯექი და ხილი მიირთვი, ხვალაც ხომ მოხვალ?

ბიჭმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დაჯდა. ლოყაწითელი ვაშლი აიღო, გემრიელად ჩაბიჩა. გოგონას დედა მაშინვე გაბრუნდა. აივნიდან გადმოხედა. ქეთინომაც აიღო ვაშლი. შეჰყურებდა ბესიკოს და იმასავით გემრიელად კბეჩდა და იტკბარუნებდა პირს. გაბრწყინებული, დამშვიდებული სახით ისხდნენ, ჭამდნენ ვაშლს და თან ჩიტებივით ეჟღურტულებოდნენ ერთმანეთს.

ბეჰემოთი

ირინე უფვერიძე

ოთი, მოთი,
ოთი, მოთი,
ზოოპარკში ხალხი მოდის,
გალიაში ზანტად დადის
ვეებერთელა ბეჰემოთი.
დააბოტებს და ამთქნარებს,
ეშინია ზაზას, გაბოს,
იმოდენა ხახას აღებს,
გალია არ გადაყლაპოს!



„ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში“

გურამ გახტაძე

— ასე ეწოდება იმ თამაშს, რომელშიც მთელი ჩვენი სამშობლოს ოქტომბრელები მონაწილეობთ. ქუთაისის 32-ე სკოლის ოქტომბრელებს ხშირად ნახავთ საავტომობილო ქარხნის საამქროებში. ისინი დაუმეგობრდნენ სოციალისტური შრომის გმირს ბორის ვაშაკიძეს. მოწინავე მუშამ და მისმა მეგობრებმა პატარებს გააცნეს ქარხნის მშენებლობის ისტორია.

რევოლუციის თავდადებული რაინდების სახელოვან ცხოვრებას ეცნობიან წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის ოქტომბრელები. მათ ინახულეს ის ადგილები, სადაც რევოლუციონერები არალეგალურ კრებებს აწყობდნენ.

— როდის შემოვიდა ჩვენს სოფელში პირველი ტრაქტორი? ვინ იყვნენ პირველი კოლმეურნეები?—ამ კითხვაზე ეძებენ პასუხს ხაშურის რაიონის სოფელ გომის ოქტომბრელთა ვარსკვლავების წევრები.

ასეთივე კარგი საქმეებით ეხმაურებით ხუთწლედს შენ და შენი ამხანაგები. ოქტომბრელებმა იცით, რომ თქვენი მთავარი მოვალეობა ბეჯითი სწავლაა. თუ მუყაითად მეცადინეობ და ამხანაგებზეც ზრუნავ, შეგიძლია ჩათვალო, რომ კარგად ასრულებ იმ ამოცანას, რასაც ხუთწლედი მოსწავლეებს უსახავს.

გახსოვდეს, არ კმარა მარტო შენ იყო მოწინავე. აბა, წარმოიდგინე ისეთი მუშა, რომელიც გეგმას თვითონ კი ასრულებს, მაგრამ არაფრად აგდებს დანარჩენებს; არ ზრუნავს მათზე, ვისაც უჭირს. მაშინ გეგმას ვერც საამქრო შეასრულებს და ვერც ქარხანა. შეფერხდება ავტომობილების, ჩარხების, ქსოვილის გამოშვება.

აბა, რა ფასი აქვს შენს ხუთიანებს, თუკი გვერდით მყოფ ამხანაგს რაღაც გაუძნელდა, გაუჭირდა და შენ არ მიეხმარე?

ოქტომბრელთა ვარსკვლავის წევრებმა ამხანაგებზეც უნდა იზრუნოთ. თუ ვინმე ავად გახდა, შინ მიაკითხეთ, დაეხმარეთ, რათა არ ჩამორჩეს სწავლაში. ანდა თუ რომელიმე თქვენი თანაკლასელი, მეცადინეობის მაგიერ, ბევრს თამაშობს, გაკიცხეთ, ურჩიეთ: ჯერ საშინაო დავალება შეასრულოს, შემდეგ კი გაერთოს.

გახსოვდეთ, ოქტომბრელები ბეჯითი ბავშვები არიან!

გულკეთილი ბაჭია

ავთანდილ მეგრელიშვილი

ერთმა პატარა ბაჭიამ
იპოვნა ტკბილი ჭარხალი,
სიხარულისგან ნაცარამ
ატეხა სიცილ-ხარხარი.
ზურგზე მოიგდო, ბუჩქისკენ
წავიდა თამაშ-თამაშით.
გზაში გემოთ არ უნახავს,
და-ძმებთან ერთად ჭამა შინ.

საყვედური

— შენ დაშალე
ფისო, ბუდე?
ხმა არ გამცე,
გაგებუტე!

თოლიები

— თოლიებო, რა გიყვართ?
— ფრენა, ლურჯი ცა!
— კიდევ, კიდევ სხვა?
— გემები და ზღვა!

მდინარე ნიას სიხარული

გიგლა აბდალაძე

ცხრა მთასა და ცხრაათასი კილომეტრს იქით ზაფხულობით ბუტბუტით მიედინება მდინარე ნია.

საპატარძლოდ მორთულს ჰგავს ნია ამ დროს: ნაძვებითა და არყის ხეებით დაფარულ მის ნაპირებზე ყვითლად, თეთრად და წითლად ჰყვავიან ტაიგის ყვავილები. უამრავი ფრინველი და მწერი გალობითა და ზუზუნით იკლებს მიდამოს.

და ჰყვებიან ფრთოსნები ათასგვარ ამბებს, ჰყვებიან საამო ხმითა და მთელის გატაცებით.

მათგან გაიგო პირველად ნიამ, ქვეყნად ადამიანის არსებობა.

რას არ ჰყვებოდნენ ადამიანზე: ყოვლისშემძლეაო, სასწაულებს ახდენსო...

ერთმა ფრინველმა ისიც კი უთხრა: ადამიანმა თუ მოინდომა, ყინულისაგან გაგათავისუფლებსო.

საწყალი ნია! ოდითგანვე წლის ნახევარზე მეტ დროს ყინულის არტახებში მომწყვდეული ატარებს და მოთმინებით ელის ზაფხულს.

— რაო, რაო? ყინულისაგან გაგათავისუფლებსო?!—წამოიყვირა მაშინ ნიამ,—თქვენ გგონიათ ყველაფერს დაგიჯერებთ? ეს ზღაპარია. განა არ ვიცი, ასეთ რამეს რომ ძეხორციელი ვერ შეძლებს, მაგრამ ნეტავ ერთხელ მაინც მანახა ის არსება, რომელზეც ამდენ რამეს ამბობენ!

მოლოდინში მიდიოდა წლები. გაილია მრავალი ზაფხული და გრძელი, ციმბირული ზამთარი. აპრილის ერთ მშვენიერ დღეს ჯერ კიდევ ყინულის სქელ საფარქვეშ მთვლემარე ნიას უცნაური გუგუნი შემოესმა.

გუგუნი თანდათან გაძლიერდა და ბოლოს იქაურობა უჩვეულოდ ააზანზარა.

ნიას ნაპირებზე ადამიანები შორეული საქართველოდან მოვიდნენ და კარვებიც დასცეს.

მძლავრად შეეჭიდნენ ტაიგის მიწას ბულდოზერები, ექსკავატორები, ტრაქტორები, თვითმცლელები... მერე იქვე სახერხი საამქროც გაიმართა, აი, „თბოსადგურიც“ აამუშავეს და ცხოვრებაც გაჩაღდა.

ერთგვარი შიშით და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ყოველივე ამას მდინარე.

— აი, თურმე როგორები ყოფილან ადამიანები. მე კი სულ სხვა წარმოდგენა მქონდა. მგონა ბუმბერაზები იყვნენ, ზღაპრულ დევებზე დიდები და ღონიერები. თუმცა ღონიერები მართლაც უნდა იყვნენ, თორემ ამხელა მანქანებს ასე როგორ აათამაშებენ. შეიძლება, ღონე არაფერ შუაშიც იყოს. მეც ვიცი, რომ „ხერხი სჯობია ღონესაო“.

ასე ფიქრობდა ყინულქვეშ მომწყვდეული ნია და ერთი სული ჰქონდა, სანამ არტახებს დაგ-

ლეჯდა.

მის მარცხენა ნაპირზე კი ადამიანები თავდადებით შრომობდნენ, პირველად ხის მორები ერთმანეთს გადააბეს და ქუჩებად დააგეს, მერე სახლებიც წამოჭიმეს. ამასობაში ზაფხული ძალაში შევიდა, ნიამ ყინულის საფარველი მოიცილა და თავისუფლად ამოისუნთქა.

ამოისუნთქა და უმალ მის ნაპირზე ბავშვებიც გამოჩნდნენ. დაბის მშენებელთა შვილები—ვანიკო და ნიკუშა, ლია და ნინიკო...

ნახატი თამაზ ხუციშვილისა

წესად დასჩემდათ ბავშვებს: პირველად ნიას გემრიელ წყალს დალევენ. მერე მის ჩქერებში გადაეშვებიან და დიდხანს ჭყუმპალაობენ. როცა დაიღლებიან, იქვე ნაპირზე ჩამოსხდებიან და და რიგრიგობით ყვებიან ათას ამბებს. მშობლიურ საქართველოზე, იქაურ ბუნებასა და ადამიანებზე.

დღეს დილით ნია ასეთი საუბრის მოწმე გახდა:

— საღამოს, აქ დიდი ზეიმი გაიმართება,— უთხრა ნინიკომ ლიას.

— ვინ გითხრა?

— ვანიკომ.

— ნეტა ვანიკო სად დაიკარგა, ორი დღეა არ დამინახავს.

— დაუჟინია, ზეიმს ჩემი დაჭერილი კალმახიც უნდა ამშვენებდესო და ანკესით ხელში სადღაც დაძვრება.

— თუ იცი, რა ზეიმია?

— ბამის მშენებლობაში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი რომ მონაწილეობს, ხომ იცი? ჰოდა, მშენებლობის საერთო უფროსს ამასწინათ უთქვამს: ქართველების შრომა სასახელო და მისაბაძიაო. ამ გამარჯვების აღსანიშნავად იმართება თურმე დღევანდელი ზეიმი.

— მერე ვანიკომ დაიჭირა რამე?

— ვერაფერი, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს, რადაც არ უნდა დამიჯდეს ჩემი უნდა გავიტანოო.

— მე ვიცი მაგის ხასიათი, თუ რაიმე ამოიჩემა, მტრისას. ჰოდა, არ გაგიჟდეს და წყალი არ მოწამლოს.

— მეც ეს ვუთხარი და გადაირია, ვიცით, ბატონო, ბუნებას რომ გაფრთხილება უნდაო. აბა, წყალს როგორ მოვწამლავ, ახლომახლო ხომ მთლად გაწყდება თევზი. რა ბრაკონიერი მე მნახეთო.

ნია კი გახარებული მიბუტბუტებდა თავის კალაპოტში; ეს რა კარგი ბავშვები ყოფილანო.

მოსაღამოვდა. ნიას ნაპირები ქართველი მშენებლებით აივსო. სახელდახელოდ გაიშალა საერთო სუფრა მარცხენა ნაპირზე.

გვიან ღამემდე გრძელდებოდა ლხინი. ტაიგის ჯერ კიდევ ყრუ ადგილებშიც აღწევდა მომხიბლავი ქართული სიმღერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯელეფონი

ტარიელ ხავთასი

— ალო, ალო...
— ციცქნა ქალო,
ვის ურეკავ, ვის?
— ვის და ბებოს,
მენატრება,
რად არ ჩამოდის?!
— გისმენ, ჩემო ნატვრისთვალო
და უვავილო მთის;
თუკი მართლა გენატრები,
თვითონ ჩამოდი.

სახუმარო

ლასა,
ლასა,
მტირალასა,
თმაგრძელა,
თავგოდორასა,
მივგვრი დალაქს,
გაკრეჭს თმასა,
შინ მოვიყვან
კოტორასა.

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

მგელო

მზია ხეთაგური

მგელო, მგელო,
საუვარელო,
ბაწაწინა, ციდა მგელო,
როცა დიდი გაიზრდები—
მაშინ გეტყვით საძაგელო.
ჯერ კი ისე ბატარა ხარ,
გვეცოდები გასალახად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი მიტო პაპას წისქვილში

უშანგი ბედია

სოდიკომ საფქვავი აიღო და წისქვილისაკენ გასწია. ოცი წელი გავიდა, რაც ამ გზაზე არ გაუვლია და მაინც კარგად ახსოვდა სოფლის შუკები და ორლობეები, მძიმე-მძიმედ მიაბიჯებდა, ნაცნობ ბაღ-ვენახებთან ჩერდებოდა და დიდხანს უყურებდა: „ეს ჩიბუხას ვენახია, ეს კი— ყინწორაანთ აღექსანდრესი. ვის რა ხიდი ედგა, ყველა ვიცოდი,“—ფიქრობს სოდიკო; მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ფეხს აუჩქარა.

წისქვილიც ისევ იმ ძველ ადგილას იდგა, რიყის ქვისაგან ნაშენი. ცოტა ელფერი კი შესცვლოდა: კრამიტები ხავსს დაეფარა, კედლებს ობობას ქსელი მოსდებოდა. ღარიც ძველი იყო, ორ ადგილას წყალი ეპარებოდა.

წისქვილის კარი გადარაზული დახვდა და, ცოტა არ იყოს, კიდეც გაუკვირდა სოდიკოს,—მიტო პაპას კარის გადარაზვა არ უყვარდა.

— წისქვილს მიმსვლელ-მომსვლელი უყვარსო!— ამბობდა ხოლმე ძველი მეწისქვილე და კარს უფრო ფართოდ გააღებდა, ქვას დაუდებდა, რომ ქარს არ მიეხურა.

სოდიკო ის იყო, უკან გამობრუნდა, რომ გზაზე მომავალი სოფო ძალო შენიშნა, თოხი და ხელჩანთა ეჭირა, ეტყობოდა სამუშაოდ მიდიოდა.

„სულ ასე მახსოვს ეს ქალი, თოხითა და ხელჩანთით დადიოდა სამუშაოზე“—გაიფიქრა სოდიკომ და სოფო ძალოს დაუწყო ყურება. „გამრჯე ქალია, შვილები უმამოდ დაზარდა და დააბინავა“.

— საფქვავია?—ჰკითხა სოფომ, როცა ტომარას შეხედა.

— დიახ.

— გეტყობა აქაური არ უნდა იყო,—სოდიკო შეიშმუშნა, დაიბნა კიდეც. „ვერ მიცნო,“—გაიფიქრა.

— წისქვილში დადგომას ახლა აღარავინ კადრულობს,—თქვა სოფომ. მერე ახლოს მივიდა, დააცქერდა:



— კოტეს ბიჭი ხომ არა ხარ?

— დიახ.

— მერე, შე მამაძაღლო, რატომ ხმას არ იღებ, აქაო და, ქაღაქელი გავხდიო, აღარ გვკადრულობ?—სოფო ძაღომ ხელი ჩამოართვა,—როდის ჩამოხვედი?

— ღღეს!

— აღბათ ჩვენი შაფრანის ვაშლები მოგენატრა.



ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

სოღიკოს გაეცინა.

მთელ სოფელში განთქმული იყო სოფო ძაღოს ვაშლები. ბიჭებსაც გული არ უთმენდათ და ხანდახან ხელიც წაუცდებოდათ ხოლმე. სოღიკოც შემჩნეული ჰყავდა სოფო ძაღოს, მაგრამ სიტყვით არასღროს უთქვამს რამე; ჩემი შვილის ტოღია, გაიხაროსო.

— მიტო პაპა აღარა გვყავს, ე, წისქვილიც ეგრეა მიტოვებული,—სიტყვა ახღა წისქვილზე გადაიტანა. სოფო ძაღომ იცოდა, რომ სოღიკოს მიტო პაპა ძაღიან უყვარდა.

— მაშ, გარდაიცვალა? საწყალი! რა ტკბილი მოხუცი იყო!—დანანებით თქვა სოღიკომ.

სოღიკოს თვალწინ დაუდგა მიტო პაპა, წელში მოხრილი, ძღივსძღივობით რომ დადიოდა. კოჭღი იყო, თუმცა სიკოჭღე ტომრების აწევ-დაწევაში ხელს სუღაც არ უშღიდა, პირიქით, ეხმარებოდა კიდეც. ურმის თვღების კეთება უყვარდა. იჯდა, საწყალი, წისქვილის წინ, თღიდა და თღიდა. ისიც გაახსენდა, ერთხელ, რომ ხელის ურემი გააკეთა და სოღიკოს ათხოვა; წაიღე, ვენახიდან სიმინდ-ღობიოს გამოზიდავო.

სოღიკომ წისქვილის კარი გააღო. ნესტის სუნი ეცა. სდუმდა სარეკელა და დოღაბი. ნაკოდალი თაგვის ნასიარუღევით იყო აჭრელებული. ჭერი ობობას დაექსელა. პატარა ტახტზე, სადაც მიტო პაპა წვებოდა ხოლმე, მტვრიანი, აკეცილი ღოგინი ეწყო.

ზამთარი იდგა მიტო პაპას წისქვილში, ცივი, უხმაურო ზამთარი. სოღიკომ საფქვავს თავი მოხსნა და ხვიმირაში ჩაყარა, მერე ადა ამოასუფთავა და წყლის გადმოსაგდებად ჩახრიალასაკენ წავიდა. ღარიდან საგუბარი ამოიღო, წყალმა იხუვლა და დოღაბი მძიმედ აროხროხდა. სოღიკო წისქვილში შევიდა, კრიჭა მიუშვა, დოღაბს აუწია და პირი გამოუკეთა, მერე ზომაზე დააყენა კრიჭაცა და დოღაბიც და ადაში წმინდა ფქვილი წამოვიდა.

ხმაურობდა დოღაბი, ცეკვავდა სარეკელა, ჩხრიალებდნენ სიმინდის მარცვლები და იქაურობაც ფქვილის სურნელით ივსებოდა. ტომრის სხვადასხვა ზომის რკალები ღურსმანზე საათის ქანქარასავით ქანაობდა.

ნელ-ნელა ღხვებოდა ზამთარი მიტო პაპას წისქვილში.

ცხენი, სახედარი და ორთვალა

ი ზ ა ვ ი

ალიმარდან იოსელიანი

ერთ დღეს მოხუცმა მამამ შვილს სთხოვა:
— წადი ბაზარში და, რაც რამ ოჯახში გვაკლია, ყველაფერი იყიდეო.

ადგა დილაადრიან შვილი. ორთვალაში სახედარი შეაბა და გზას გაუდგა. ბაზარში შუადღემდე ძლივს მიაღწია, მაინც კარგად ივაჭრა; რაც რამ ოჯახში აკლდათ, თაფლი იყო თუ შაქარი, ხორბალი თუ სიმინდი, ყველაფერი იყიდა.

შინისკენ დაიძრა, შუა გზაში ერთი ხევი უნდა გადმოეარა, სწორედ იმ ადგილას კოკისპირულმა წვიმამ მოუსწრო. წამოვიდა ხევზე ნიაღვარი და წაიღო ორთვალა თავისი ვირიან-ნავაჭრიანა. თვითონ ძლივს გამოასწრო აყეფებულ ნიაღვარს.

დედამ ეზოში შესული ცარიელ-ტარიელი შვილი რომ დაინახა, ტირილი მორთო. მამამ ფანჯრიდან გამოიხედა და ცოლს უთხრა:
— ვინც ცხენის ორთვალაში სახედარს შეაბამს ან ცხვარს უნაგირს დაადგამს, უკულმართი ჭკუის პატრონია და საქმეც უკულმართად წაუვაო, — მერე შვილს მიუბრუნდა: — ახლა მაინც დაიმახსოვრე, ქვეყანაზე ყველას თავისი ადგილი აქვს: ცხენს — ცხენისა, სახედარს — სახედრისა.

ცუგრუმელები

ზაქარია შერაზადიშვილი

აივანზე ნელა
დაფაცფაცებს
ღელა.

თუ დაეცა ღელა,
არ სჭიდრება
შველა.

ცუგრუმელა ღელას;
აგერ ერთი თვეა,
მოუყვანეს სახლში
პაწაწინა თეა.

დაიკონა თეა —
ისე უყვარს ღელას,
რომ დედიკოს შემდეგ,
ურჩევნია ყველას.

მეგობრები

ლავრენტი ჭიჭინაძე

ვალიკო და აჩიკო მხოლოდ სკოლაში ხვდებიან ერთმანეთს. ერთ კლასში სწავლობენ და ერთ მერხზე სხედან. მასწავლებელმა პირველ კლასში დასვა ისინი ერთად. მეორე კლასშიც ერთ მერხზე ისხდნენ. ახლა, მესამე კლასშიც არ შორდებიან ერთმანეთს.

მასწავლებელი ხშირად აწყობს ხოლმე საკონტროლო წერას მათემატიკაში. ერთხელაც ასეთი გრძელი მაგალითი დაუწერა ბავშვებს. ძარღვ მიმატება და გამოკლება კი არა, გამრავლებაც იყო შიგ და გაყოფაც.

მასწავლებელმა ბავშვები გააფრთხილა:

— ამ მაგალითში უცხო არაფერია. ნუ აჩქარდებით, კარგად დაუფიქრდით და უსათუოდ გამოვიყვანთ.

პატარები საქმეს შეუდგნენ. ცოტა ხნის მერე,

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

როცა ბევრს მაგალითი ნახევრადაც არა ჰქონდა გაკეთებული, სიჩუმე აჩიკომ დაარღვია:

— უკვე დავამთავრე!

— ნუ ჩქარობ, კიდევ დაუკვირდი და რვეული მერე ჩამაბარე!

ვალიკო მაგალითს ჩაჰკირკიტებდა, ფიქრობდა, ანგარიშობდა.

სწორედ ამ დროს აჩიკომ მუხლზე მუხლი გაჰკრა. დაფიქრებულმა ბიჭმა ნელა მიიხედა მისკენ, აჩიკომ თვალით ანიშნა; გადაიწერეო, მაგრამ ვალიკომ არც შეხედა მის რვეულს. აჩიკომ იფიქრა, ალბათ ვერ დაინახაო და ჩურჩულით უთხრა:

— გადაწერე, თორემ ორიანს მიიღებ.

ვალიკომაც ასევე ჩურჩულით უპასუხა:

— ის ორიანი მირჩევნია, გადაწერილში მიღებულ ხუთიანს.

რაკი ვალიკომ უარი თქვა, მაშინ აჩიკომ რვეული დახურა და მასწავლებელს ჩააბარა. სხვებმაც დაამთავრეს. დაირეკა ზარი. ვალიკომ სულ ბოლოს ჩააბარა რვეული, მაგრამ ზემოდან კი არ დაადო რვეულებს, სულ ქვეშ ამოსდო, ალბათ იმის შიშით, მასწავლებელმა აქვე არ ნახოსო. დასვენებაზე აჩიკოს უთხრა:

— მთლად ამერია ყველაფერი.

მეორე დღეს მასწავლებელმა, რვეულები მოიტანა. პატარები ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ; აბა, ვის რა ნიშანს გამოგვიცხადებსო, მაგრამ მასწავლებელი არ ჩქარობდა, ერთხანს ათვალიერა, მერე ყველა ერთად დააწყო და თქვი:

— დაფასთან გამოვა...—გაჩერდა, ბავშვებს გადახედა,—ვალიკო გამოვიდეს!

ვალიკო შეცბა, უხალისოდ წამოდგა და გაიფიქრა: გუშინ ვერაფერი გავაკეთე, დღეს რა უნდა დავწეროო. დაფასთან მივიდა, ცარცი აიღო:

— აბა, ვალიკო, წერე!

მასწავლებელმა უკარნახა.

ეს ხომ გუშინდელი მაგალითია!

დაიწყო მაგალითის გამოყვანა. მასწავლებელი ეკითხება, ვალიკო პასუხს აძლევს და თან წერს.

ისე გავიდა მაგალითის ბოლოში, ისე გამოიყვანა, არაფერი გაჭირვებია.

— ძნელი ყოფილა?—შეეკითხა მასწავლებელი.

— არა, ახლა ვიცი, ყველაფერი გავიგე.

დასვენებაზე ვალიკომ აჩიკოს უთხრა:

— შენგან რომ გადამეწერა, კარგ ნიშანს კი მივიღებდი, მაგრამ არაფერი მეცოდინებოდა.

ჩვენო მთებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

ჰარალო და ჰარალო,
ჩვენო მთებო მაღალო,
თქვენს კალთებზე სირბილით
მინდა მუხლი დავღალო.
ჰარალო და ჰარალო,
ჩვენო ცაო მაღალო,
მინდა მუდამ გიყურო,
მზერით თვალი დავღალო.
ჰარალო და ჰარალო,
ჩვენო მზეო მაღალო,
შენზე ტკბილი სიმღერით
მინდა ენა დავღალო.
ჰარალო და ჰარალო,
საქართველო ბაღნარო,
შენთვის სწავლა-შრომაში
მინდა გული დავღალო.

ნახატი ვაჟა დათეგაშვილისა

ასოკანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთიყუში

ვიქტორ ლეჟავა

თუ რაიმეს დავაშავებ,
ჩაუკაკლავს დედას ყურში,
ქანდარაზე შესკუპული
ენაგრძელი თუთიყუში.

თავსატეხი



ცარიელი უჯრედები შეავსეთ საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა **მამული.**

შეადგინა ასპინძის რაიონის სოფ. ნაქალაქევის სკოლის მოსწავლემ **მერაბ ბერიძემ.**

მომღერალი თევზები

გიორგი დათუაშვილი

ადრე ადამიანს ეგონა, თევზი მუნჯი იყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე ყველა თევზი როდი ყოფილა უტყვი. ინდოეთისა და ატლანტის ოკეანის ბინადრები, აგრეთვე შავი და კასპიის ზღვების ზოგიერთი სახეობის თევზი უცნაურ ბგერებს გამოსცემს. უკანასკნელ ხანს ამ ბგერების მეშვეობით, რომელსაც სპეციალური ხმის ჩამწერი აპარატებით ისმენენ, არა მარტო თევზის ადგილსამყოფელს იგებენ, არამედ—თევზის ჯიშსაც ადგენენ.

გემზე სიწყნარის დროს, ხშირად ისმის ხოლმე კეთილხმოვანი გალობა, რაღაც თავისებური სევდიანი ღუღუნი, ეს ნაღვლიანი [illegible] სწორედ თევზებისაგან მოისმის, მათ [illegible] „ბოლე“ თევზებს ეძახიან, რომლებიც მიაყ[illegible]ებენ საოკეანო გემებს. ისინი მეტრნახევრამდე სიგრძისანი იზრდებიან და ტანზე ქერცლის „პიჯაკები“ აცვიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძერა

ალექსი ნამორაძე

გადუქროლა ეზოს ძერამ,
ქათმებს გული აუძგერა,
კრიახით და წიოკობით
საქათმისკენ გარბის ყველა.

ამოცანები

გიორგი მეტრეველი

— რვეულში რომ ფანქრით
ერთიანებს წერდი...
რვას დავაკლოთ შვიდი,
რამდენია?
— ....!

— გახსოვს ზურა, ბებიასთან
ჭუჭულებს რომ თვლიდი,
ექვსის შემდეგ ათი თქვი და
უნდა გეთქვა
— .....!

შეადგინა საჩხერის რაიონის საირხის სკოლის
მოსწავლემ **გოჩა შუკაკიძემ.**

6154/23

ეროვნული
ბიბლიოთეკა
76055

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲐ

ნახატი **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲐᲛᲒᲝᲙᲐᲫᲘᲡᲐ**

მთავარი რედაქტორი **ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲛᲐᲠᲘᲐᲜᲘ**

სარედაქციო კოლეგია: **ᲐᲜᲖᲝᲠ ᲐᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲐᲛᲒᲝᲙᲐᲫᲔ**, **ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, **ᲚᲔᲘᲚᲐ ᲔᲠᲐᲫᲔ**, **ᲛᲐᲣᲓᲐᲚᲐ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, **ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ**, **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲝᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (ხამხ. რედაქტორი), **ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ** (პ/მგ. მდივანი) **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, **ᲒᲘᲕᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ**

ხაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

ხაქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური ხაბჭოს ჟურნალი.
ყდაზე ნახატი **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**
გამოცემის 50-ე წელი.

ტექრედაქტორი **ᲔᲜᲓᲘ ᲭᲐᲠᲔᲗᲔᲚᲘ**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 12/XI-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-76 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 157.250. შეკვ. № 3790. „Дила" № 2. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.